



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულადი ეკვივალენტები	13
5. გაცემული სესხები.....	13
6. ძირითადი საშუალებები.....	16
7. არამატერიალური აქტივები.....	17
8. სხვა აქტივები	17
9. მიღებული სესხები.....	17
10. გადასახადები.....	18
11. კაპიტალი	19
12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	19
13. სესხის გაუფასურების ზარალი	20
14. შემოსავალი ჯარიმების სახით	20
15. სხვა შემოსავალი.....	20
16. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	21
17. პოტენციური ვალდებულებები	21
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	22

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	9 168	13 664
კლიენტებზე გაცემული სესხები	5	827 321	937 552
ძირითადი საშუალებები	6	9 753	15 659
არამატერიალური აქტივები	7	28 211	31 765
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		33 808	50 075
სხვა აქტივები	8	17 716	18 462
სულ აქტივები		925 977	1 067 177
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	303 971	371 055
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	10	148	438
სხვა ვალდებულებები		(35)	-
სულ ვალდებულებები		304 084	371 493
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 000 000	1 000 000
საერთო რეზერვი		113 038	113 038
გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)		(491 145)	(417 354)
სულ საკუთარი კაპიტალი	11	621 893	695 684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		925 977	1 067 177

დამტკიცებულია და ხელმოწერილია პარტნიორის გამგეობის გადაწყვეტილებით 2021 წლის 15 ივლისს

კახა დარსაძე
დირექტორი



ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-22 გვედებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კრედიტ სერვისი“**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	9 168	13 664
კლიენტებზე გაცემული სესხები	5	827 321	937 552
ძირითადი საშუალებები	6	9 753	15 659
არამატერიალური აქტივები	7	28 211	31 765
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		33 808	50 075
სხვა აქტივები	8	17 751	18 462
სულ აქტივები		926 012	1 067 177
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	303 971	371 055
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	10	148	438
სულ ვალდებულებები		304 119	371 493
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 000 000	1 000 000
საერთო რეზერვი		113 038	113 038
გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)		(491 145)	(417 354)
სულ საკუთარი კაპიტალი	11	621 893	695 684
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		926 012	1 067 177

დამტკიცებულია და ხელმოწერილია პარტნიორის გამგეობის გადაწყვეტილებით 2021 წლის 15 ივლისს

კახა დარსანია
დირექტორი

ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

7-22 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კრედიტ სერვისი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საპროცენტო შემოსავალი	12	340 200	451 702
საპროცენტო ხარჯი	12	(44 037)	(64 181)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	12	296 163	387 521
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	13	(109 054)	(334 170)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების შემდეგ		187 109	53 351
შემოსავალი ჯარიმებიდან	14	17 034	38 989
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	154 797	198 382
პერსონალის ხარჯი		(331 063)	(341 627)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(97 394)	(119 358)
წმინდა მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-	347
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		(69 517)	(169 915)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(5 930)	(7 861)
წმინდა ზარალი		(75 447)	(177 776)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(75 447)	(177 776)

7-22 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კრედიტ სერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალი სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1 000 000	113 038	(239 578)	873 460
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	(177 776)	(177 776)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	1 000 000	113 038	(417 354)	695 684
კორექტირება	-	-	1 656	1 656
ნაშთი 2020 წლის 01 იანვრისათვის	1 000 000	113 038	(415 698)	697 340
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	(75 447)	(75 447)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1 000 000	113 038	(491 145)	621 893

7-22 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		372 606	503 242
მიღებული ძირი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან		1 383 961	2 125 569
მიღებული ჯარიმები		41 955	90 706
მიღებული საკომისიოები		1 047	898
გადახდილი პროცენტები	9	(44 121)	(72 629)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(1 289 449)	(1 711 170)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(268 397)	(279 616)
გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები		(41 869)	(75 987)
სხვა შემოსავალი		6 686	935 008
სხვა გასავალი		(44 865)	(961 563)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		(54 500)	(74 282)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(37 000)
საოპერაციო საქმიანობაში შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		63 054	443 175
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	-	(830)
არამატერიალური აქტივის შეძენა	7	(550)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(550)	(830)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		-	4 810
სესხების დაფარვა	9	(67 000)	(459 714)
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(67 000)	(454 904)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(4 496)	(12 559)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-	347
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	4	13 664	25 876
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	4	9 168	13 664

7-22 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კრედიტ სერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში, ჩართულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში და აყვანილია საგადასახადო აღრიცხვაზე 11.12.2007 წ. ს/კ - 220410829. კომპანიის იურიდიული მისამართია, 2100 ქ. ზუგდიდი, ი. მეუნარგიას ქ. #11.

კომპანიამ 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეიცვალა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და 2019 წლის 22 ოქტომბერს გახდა სესხის გამცემი სუბიექტი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კრედიტ სერვისი“-ს კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორი არის არაკომერციული ორგანიზაცია: ააპ „ნდობის კავშირი“, ს/კ - 220345188. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია, ქ. ზუგდიდი, ი. მეუნარგიას ქ. #11.

კომპანიის მმართველობას ანხორციელებს პარტნიორი. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორის მიერ.

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: არაუზრუნველყოფილ ინდივიდუალურ სესხებს: აგრო, სამომხმარებლო და ბიზნეს სექტორზე.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მომზადების საფუძველი

2.1. ანგარიშგების შესაბამისობა, შეფასების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების სწული პაკეტი მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2019 წლის შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2.3. მოქმედი და წარსაღგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსაღგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1. კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო, ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც, შემოიღო ზომები პანდემიასთან საბრძოლველად. ეს ზომები მოიცავს შეზღუდვებს, კარანტინს, ბიზნესების დახურვას და გარკვეული ადგილების მასშტაბურ ჩაკეტვას, რამაც გავლენა იქონია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და ბიზნესსაქმიანობის მასშტაბზე.

რადგანაც კოვიდ-19-ის პანდემია გრძელდება და მისი ხანგრძლივობა და ახლო მომავალში ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობა გაურკვეველია, კომპანიის ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციაზე დაკვირვებას, რათა დროულად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს შესაბამის გამოწვევებსა და რისკებზე.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სასესხო მოთხოვნები (გაცემული სესხები) - ფინანსური აქტივი;

სასესხო ვალდებულებები (მიღებული სესხები) - ფინანსური ვალდებულება.

3.2.1. თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც კომპანია გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, კომპანია მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისათვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.2.2. ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.2.3. თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურების აღიარება და შეფასება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალს აფასებს შემდეგნაირად:

- (ა) ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის იქნება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
- (ბ) ისეთი ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის (რომელიც შეიძლება ნულის ტოლი იყოს) საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც კომპანია მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.2.4. გაუფასურების ზარალის აღგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), კომპანიამ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. გაუფასურების ზარალის აღგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ უნდა იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. კომპანიამ გაუფასურების კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში.

3.2.5. ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

კომპანია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცემელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კომპანიას ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5. ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანია მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7. წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- ✓ კომპ. ტექნიკა და საკომუნიკ. მოწყობ. 5-10 წ
- ✓ სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წ
- ✓ ავეჯი და მოწყობილობები 5-10 წ
- ✓ სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და

კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

3.10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება პარტნიორთა გადაწყვეტილებით და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილებით.

3.11. შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ კომპანია უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას სრული ღირებულების საფუძველზე.

სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

3.12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

3.13. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მზადებისას:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ლარი / აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი / ევრო	4.0233	3.2095

3.14. დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

3.15. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება როგორც ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარა.

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ჩვეულებრივი იჯარის პირობებით ის საიჯარო გადასახდელებს აღიარებს ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.16. შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით ასახულ თანხებზე.

განუსაზღვრელობის შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: სესხების გაუფასურების რეზერვი. კომპანიის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ზარალს კომპანია განსაზღვრავს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. კომპანია ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწოდებს მსესხებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 39998 ლარი იყო (2019 წ - 45649 ლარი). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მატერიალური და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

4. ფული და ფულადი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაღდი ფული საღაროში	4 187	2 054
ფული საბანკო ანგარიშებზე	4 981	11 611
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	9 168	13 664

5. გაცემული სესხები

გაცემული სესხები და გაუფასურების რეზერვი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ძრი თანხა	854 471	969 781
დარიცხული პროცენტი	12 848	13 419
სულ გაცემული სესხები	867 319	983 201
მინუს გაუფასურების რეზერვი	(39 998)	(45 649)
წმინდა გაცემული სესხები	827 321	937 552

სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(45 649)	(137 140)
დარეზერვება წლის განმავლობაში	(122 759)	(335 959)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	13 705	1 789
ჩამოწერა წლის განმავლობაში	114 705	425 662
ნაშთი წლის ბოლოს	(39 998)	(45 649)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემულ სესხებს დარგობრივ ჭრილში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2020 წელი	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო დირიჟება
კლიენტებზე გაცემული სესხები			
სამომხმარებლო	759 378	(33 788)	725 590
ვაჭრობა და მომსახურება	96 755	(6 131)	90 624
სოფლის მეურნეობა	3 371	-	3 371
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5 551	-	5 551
დანარჩენი სფეროები	2 264	(79)	2 185
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	867 319	(39 998)	827 321

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

2019 წელი	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები			
სამომხმარებლო	870 496	(39 151)	831 345
ვაჭრობა და მომსახურება	98 460	(5 899)	92 562
სოფლის მეურნეობა	909	-	909
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5 477	(30)	5 448
დანარჩენი სფეროები	7 858	(569)	7 289
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	983 201	(45 649)	937 552

ქვემოთ წარმოდგენილია დარგობრივ ჭრილში ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
სამომხმარებლო სესხები				
არავადაგადაცილებული	728 075	(20 086)	707 989	3%
0-30 დღე ვადაგადაცილება	7 131	-	7 131	0%
30-60 დღე ვადაგადაცილება	5 208	(2 369)	2 839	45%
60-120 დღე ვადაგადაცილება	13 477	(7 531)	5 946	56%
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	3 802	(3 802)	-	100%
სულ სამომხმარებლო სესხები	757 693	(33 788)	723 905	4.5%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
ვაჭრობა და მომსახურების სესხები				
არავადაგადაცილებული	93 155	(2 430)	90 725	3%
0-30 დღე ვადაგადაცილება	202	-	202	0%
30-60 დღე ვადაგადაცილება	199	(99)	100	50%
60-120 დღე ვადაგადაცილება	2 006	(1 003)	1 003	50%
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2 599	(2 599)	-	100%
სულ ვაჭრობა და მომსახურების სესხები	98 161	(6 131)	92 030	6.2%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
სოფლის მეურნეობის სესხები				
არავადაგადაცილებული	3 440	-	3 440	0%
სულ სოფლის მეურნეობის სესხები	3 440	-	3 440	0.0%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები				
არავადაგადაცილებული	5 677	-	5 677	0%
სულ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები	5 677	-	5 677	0%

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
დანარჩენი სფეროების სესხები				
არავადაგადაცილებული	2 348	(79)	2 269	3.4%
სულ დანარჩენი სფეროების სესხები	2 348	(79)	2 269	3.4%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	867 319	(39 998)	827 321	4.6%

ქვემოთ წარმოდგენილია დარგობრივ ჭრილში ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
სამომხმარებლო სესხები				
არავადაგადაცილებული	820 005	(8 432)	811 573	1%
0-30 დღე ვადაგადაცილება	8 351	(273)	8 078	3%
30-60 დღე ვადაგადაცილება	6 888	(2 540)	4 347	37%
60-120 დღე ვადაგადაცილება	15 547	(8 201)	7 347	53%
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	19 705	(19 705)	(0)	100%
სულ სამომხმარებლო სესხები	870 496	(39 151)	831 345	4.5%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
ვაჭრობა და მომსახურების სესხები				
არავადაგადაცილებული	89 872	(422)	89 450	0%
30-60 დღე ვადაგადაცილება	481	(241)	241	50%
60-120 დღე ვადაგადაცილება	5 742	(2 871)	2 871	50%
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2 365	(2 365)	-	100%
სულ ვაჭრობა და მომსახურების სესხები	98 460	(5 899)	92 562	6.0%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
სოფლის მეურნეობის სესხები				
არავადაგადაცილებული	909	-	909	0%
სულ სოფლის მეურნეობის სესხები	909	-	909	0.0%

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები				
არავადაგადაცილებული	5 374	-	5 374	0%
0-30 დღე ვადაგადაცილება	103	(30)	74	29%
სულ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები	5 477	(30)	5 448	0.5%

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	წმინდა თანხა	გაუფასურების რეზერვის %
დანარჩენი სფეროების სესხები				
არავადაგადაცილებული	6 386	-	6 386	0%
0-30 დღე ვადაგადაცილება	1 287	(384)	902	30%
120 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	185	(185)	0	100%
სულ დანარჩენი სფეროების სესხები	7 858	(569)	7 289	7.2%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	983 201	(45 649)	937 552	4.6%

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირ-ბა	კომპიუტ. ტექნიკა	სატრანსპ. საშუალება	ავტო	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ.	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	25 704	13 125	11 255	10 577	60 661
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	25 704	13 125	11 255	10 577	60 661

დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(18 796)	(9 438)	(9 364)	(7 404)	(45 002)
ცვეთის დარიცხვა	(2 843)	(1 313)	(692)	(1 058)	(5 906)
შემცირება გასვლის შედეგად	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	(21 639)	(10 751)	(10 056)	(8 462)	(50 908)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	4 065	2 374	1 199	2 115	9 753

ისტორიული ღირ-ბა	კომპიუტ. ტექნიკა	სატრანსპ. საშუალება	ავტო	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ.	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	25 254	13 125	10 875	10 577	59 831
შემოსვლა	450	-	380	-	830
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	25 704	13 125	11 255	10 577	60 661

დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	(15 455)	(8 125)	(8 173)	(6 346)	(38 099)
ცვეთის დარიცხვა	(3 341)	(1 313)	(1 191)	(1 058)	(6 903)
შემცირება გასვლის შედეგად	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(18 796)	(9 438)	(9 364)	(7 404)	(45 002)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	6 908	3 687	1 891	3 173	15 659

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია საგადასახადო მიზნით იყენებს ძირითადი საშუალებების სრულად გამოქვითვის მეთოდს.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირ-ბა	პროგრამული უზრუნველყოფა
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	40 124
შემოსვლა	550
გასვლა	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	40 674
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(8 360)
ცვეთის დარიცხვა	(4 103)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	(12 463)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	28 211

ისტორიული ღირ-ბა	პროგრამული უზრუნველყოფა
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	40 124
შემოსვლა	-
გასვლა	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	40 124
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	(4 347)
ცვეთის დარიცხვა	(4 013)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(8 360)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	31 765

8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მარაგი	150	81
გადახდილი ავანსები	17 554	17 681
მისაღები ჯარიმები	47	700
სულ სხვა აქტივები	17 751	18 462

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იურიდიული პირიდან	ფიზიკური პირებიდან	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	148 422	222 633	371 055
სესხის მიღება	-	-	-
სესხის დაფარვა	(60 000)	(7 000)	(67 000)
დარიცხული პროცენტი	15 530	28 507	44 037
დაფარული პროცენტი	(15 669)	(28 452)	(44 121)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	88 283	215 688	303 971

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიას მიღებული აქვს სესხები როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისაგან.

იურიდიული პირისაგან (ააიპ „ნდობის კავშირისგან“, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის 100%-ის მფლობელ პარტნიორს) მიღებული აქვს არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში, რომელის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით - 88283 ლარია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13%-ს. სესხი დაფარვის ვადაა 2022 წლის 22 ივნისი.

ფ/პირებისაგან მიღებული ყველა სესხი არის მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილი. საპროცენტო განაკვეთი 13%-ია და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 215688 ლარს. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოხდა ყველა ფ/პირებისაგან მიღებული სესხის ხელშეკრულების განახლება, სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო და სესხების დაფარვის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 10 ოქტომბერი.

10. გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები.

საქართველოს საგადასახადო კანონში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, 2016 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირებზე ან პარტნიორ არარეზიდენტებზე განაწილებული მოგება და არა საწარმოს მიერ ფაქტობრივად მიღებული მოგება. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად.

2018 წლის 27 დეკემბერს მოხდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რის მიხედვითაც კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის გამცემი სუბიექტი მოგების გადასახადით საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან. ამდენად წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაცემები გადასახადების კუთხით გათვლილია ძველი, აქამდე არსებული წესით.

2020 და 2019 წლების საგადასახადო ხარჯის/(შემოსავლის) შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	2020	2019
მიმდინარე საგადასახადო (ხარჯი)/შემოსავალი	(6 220)	(3 863)
დროებითი სხვაობის თავდაპირველ წარმოქმნასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/შემოსავალი	290	(3 998)
საგადასახადო ხარჯი	(5 930)	(7 861)

	2019	2018
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(169 915)	(103 196)
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი კანონმდებლობით	25 487	15 479
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით		
გამოუქვითავი დანახარჯების საგადასახადო შედეგი საგადასახადო მოგების განსაზღვრისას:	(33 348)	(147 691)
საგადასახადო ხარჯი	(7 861)	(132 212)

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას 2020 და წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

დროებითი სხვაობების მოძრაობები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება					
	2018	აღიარებული მოგება- ზარალი	2019	აღიარებული მოგება- ზარალი	2020
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
საპროცენტო შემოსავალი	4 489	(3 344)	1 145	(474)	671
ფ/პ გადაუხდელი პროცენტები	1 567	(1 472)	95	8	103
ძირითადი საშუალებები	-	-	-	105	105
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6 056	(4 816)	1 240	(361)	879
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
ძირითადი საშუალებები	(1 089)	585	(504)	504	-
არამატერიალური აქტივი	(1 019)	(50)	(1 069)	49	(1 020)
მისაღები ჯარიმები	(388)	283	(105)	98	(7)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(2 496)	818	(1 678)	651	(1 027)
გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	3 560	(3 998)	(438)	290	(148)

11. კაპიტალი

კაპიტალი და რეზერვები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საწესდებო კაპიტალი	1 000 000	1 000 000
საერთო რეზერვი	113 038	113 038
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	(417 354)	(239 578)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	(80 011)	(177 776)
სულ საკუთარი კაპიტალი	615 673	695 684

12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი სამომხმარებლო სესხებიდან	305 000	358 709
საპროცენტო შემოსავალი ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	31 350	76 912
საპროცენტო შემოსავალი სოფლის მეურნეობის სესხებიდან	655	3 721
საპროცენტო შემოსავალი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობიდან	1 630	5 913
საპროცენტო შემოსავალი დანარჩენი სფეროების სესხებიდან	1 565	6 446
სულ საპროცენტო შემოსავალი	340 200	451 702
საპროცენტო ხარჯი ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	-	(7 818)
საპროცენტო ხარჯი იურიდიულ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(15 529)	(18 555)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკურ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(28 508)	(37 808)
სულ საპროცენტო ხარჯი	(44 037)	(64 181)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	296 163	387 521

შპს „კრედიტ სერვისი“**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

13. სესხის გაუფასურების ზარალი

სესხის გაუფასურების ზარალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის დარგობრივ ჭრილში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სამომხმარებლო სესხების მიხედვით	(95 595)	(229 280)
ვაჭრობა და მომსახურების სესხების მიხედვით	(13 794)	(90 447)
სოფლის მეურნეობის სესხების მიხედვით	-	(1 199)
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სესხების მიხედვით	30	(7 428)
დანარჩენი სფეროების სესხების მიხედვით	305	(5 816)
სულ სესხის გაუფასურების ზარალი	(109 054)	(334 170)

ქვემოთ მოცემულია სესხის გაუფასურების ზარალი მოძრაობა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის:

	2020	2019
რეზერვის ხარჯის გაზრდა (დარეზერვება)	(122 759)	(341 192)
რეზერვის ხარჯის შემცირება (ამობრუნება)	13 705	7 022
სულ სესხის გაუფასურების ზარალი	(109 054)	(334 170)

14. შემოსავალი ჯარიმების სახით

შემოსავალი ჯარიმებიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2020	2019
სამომხმარებლო სესხებიდან	14 896	29 674
ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	1 975	7 210
სოფლის მეურნეობის სესხებიდან	-	354
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სესხების მიხედვით	5	790
დანარჩენი სფეროების სესხებიდან	159	960
სულ შემოსავალი ჯარიმებიდან	17 034	38 989

15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საპროცედურო შემოსავალი	1 117	898
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან	180	180
შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	149 988	197 274
საქართველოს ბანკის აპარატის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	3 512	30
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	154 797	198 382
სულ სხვა შემოსავალი	2020	2019

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

16. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(10 010)	(10 915)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1 609)	(1 076)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(7 080)	(12 000)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(2 603)	(3 290)
კომუნიკაციის ხარჯი	(5 264)	(8 835)
ოფისის იჯარის ხარჯი	(21 750)	(26 125)
საკანცელარიო ხარჯი	(1 481)	(2 438)
რეკლამის ხარჯი	-	(20)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(52 161)	(54 659)
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	(101 958)	(119 358)

17. პოტენციური ვალდებულებები

კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველო ანხორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, მისი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა, არსებული რედაქციით ნაწილობრივ ბუნდოვანია და ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინერპრეტაციას, შერჩევით და არათანმიმდევრულ გამოყენებას და შესაძლებელია კომპანიის ისეთი ოპერაციები და საქმიანობა დადგეს მომავალში ნებისმიერ დროს ეჭვქვეშ, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შესაბამისი ორგანოების მიერ შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებას ექვემდებარება სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოცვას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ კომპანიას დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი მოთხოვნები

კომპანიას გაფორმებული აქვს ორი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება შემდეგ ფართებზე: ქ. ზუგდიდი, მეუნარგიას ქ. #11; ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #111.

საანგარიშგებო 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ 21750 ლარი (2019წ - 26125 ლარი) ხარჯად აღიარა.

კომპანიის მომავალი ერთწლიანი გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს 21750 ლარს.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ: პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ, კონტროლდებიან, ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ არიან ორგანიზაციასთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე, ან ფლობენ საერთო კონტროლს მასზე; არიან ძირითადი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის წევრები; წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს; ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია ხმის უფლება ასეთ საწარმოში ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელი პირების და სხვა დაკავშირებული მხარეების ანაზღაურება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020			2019		
	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	სხვა დაკავშირე- ბული მხარეები	სულ დაკავშირე- ბული მხარეები	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	სხვა დაკავშირე- ბული მხარეები	სულ დაკავშირე- ბული მხარეები
დარიცხული ხელფასები	43 761	74 294	118 055	40 754	73 862	114 616
	43 761	74 294	118 055	40 754	73 862	114 616

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები და გარიგების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2020			2019		
	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	სხვა დაკავშირე- ბული მხარეები	სულ დაკავშირე- ბული მხარეები	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	სხვა დაკავშირე- ბული მხარეები	სულ დაკავშირე- ბული მხარეები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები						
გაცემული ხესხები	1 355	1 978	3 333	1 870	-	1 870
ვალდებულებები						
მიღებული ხესხები	-	(303 970)	(303 970)	-	(371 054)	(371 054)
სრული შემოსავლების ანგარიშგება						
საპროცენტო შემოსავალი	556	175	731	443	-	443
საპროცენტო ხარჯი	-	(44 037)	(44 037)	-	(56 363)	(56 363)

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომელთა გამჟღავნებაც იქნებოდა საჭირო ფინანსურ ანგარიშგებაში, ან რომლებიც გამოიწვევდა ფინანსური მაჩვენებლების კორექტირებას.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „კრედიტ სერვისი“ პარტნიორის გამგეობის გადაწყვეტილებით 2021 წლის 15 ივლისს